

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „პირველი შოპ“ და შპს „მედიქალ ქარდი“-ს (შემდგომში „ჩვენ“) კონფიდენციალურობის პოლიტიკას (შემდგომში „კონფიდენციალურობის პოლიტიკა“), რომელიც გამოქვეყნებულია ჩვენს ვებგვერდზე www.Pirveli.com და www.Pirveli.ge (შემდგომში „პლატფორმა“) და არის ამავე პლატფორმაზე გამოქვეყნებული **ონლაინ მალაზიის პირობების, ფასდაკლების ვაუჩერის პირობების, გასართობი თამაშის პირობების და ჯანდაცვის ბარათის პირობების** არსებითი ნაწილი.

პლატფორმის მეშვეობით, ჩვენ გთავაზობთ მომსახურებას, რომლის მისაღებად აუცილებელია **პლატფორმაზე** დარეგისტრირება ან/და თქვენი პერსონალური მონაცემების მითითება. **პლატფორმით** სარგებლობისას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები განსაზღვრულია შესაბამისი პირობებით და წინამდებარე პოლიტიკით.

პლატფორმაზე შემოსვლით თქვენ ეთანხმებით წინამდებარე პოლიტიკას. თუ თქვენ არ ეთანხმებით წინამდებარე პოლიტიკას, არ განაგრძოთ **პლატფორმით** სარგებლობა.

1. თქვენგან მონაცემებს ვიღებთ შემდეგ შემდეგ შემთხვევებში:

- შემოდინართ ან/და რეგისტრირდებით პლატფორმაზე;
- მოგვმართავთ ჩვენი პროდუქტების თუ მომსახურების მისაღებად;
- ახორციელებთ კომუნიკაციას ვებ-ჩატის, ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- იყენებთ ჩვენს პლატფორმას, მობილურ აპლიკაციებს და ვებ-ჩატს;
- აგზავნით წერილებს ჩვენთან ან/და ჩვენ პარტნიორ ორგანიზაციებთან, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.

პლატფორმაზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემების აღმოფხვრის, უკუკავშირისა და უსაფრთხოების მიზნით ხორციელდება შემავალი და გამავალი ზარების ჩაწერა, შენახვა და დამუშავება, ასევე ვებ-ჩატის საშუალებით კომუნიკაციის ჩაწერა, შენახვა და დამუშავება.

პლატფორმის მიერ თქვენი მონაცემების მიღება შეიძლება განხორციელდეს, თუ აღნიშნული მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია კანონმდებლობის შესაბამისად ან/და გასაჯაროვდა თქვენ მიერ ან/და თქვენი თანხმობით.

2. მონაცემთა დამუშავება და დამუშავების მიზანი

პლატფორმაზე თქვენი შემოსვლისას, **პლატფორმა** ავტომატურად აგროვებს ინფორმაციას თქვენი ვიზიტის შესახებ, რაც მოიცავს: თქვენს IP მისამართს, ვიზიტის დროს, მოწყობილობის ტიპს და ბრაუზერის ტიპს.

ასევე, ვაგროვებთ თქვენ პერსონალურ ინფორმაციას, რომელსაც გადმოგვცემთ, როდესაც რეგისტრირდებით **პლატფორმაზე** და რეგისტრაციისთვის შეგყავთ თქვენი პერსონალური მონაცემები, როგორცაა: სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, დაბადების თარიღი ან/და სხვა.

თუ თქვენ მოგვანოლებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს **ჩვენი** სარეგისტრაციო ფორმის/რეგისტრაციის ველების მეშვეობით, თქვენი პირადი ანგარიშის შექმნის ან/და კორექტირებისას, **ჩვენი** პროდუქტის ან/და მომსახურების შეძენისას ან/და ნებისმიერი სხვა ტიპის კომუნიკაციისას ნებისმიერი ფორმით თქვენ პირდაპირ აცხადებთ თანხმობას მასზე, რომ დავამუშაოთ, მათ შორის შევინახოთ და გამოვიყენოთ აღნიშნული მონაცემები.

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მოხდეს შემდეგი მიზნით:

- მომავალში თქვენი, როგორც მომხმარებლის იდენტიფიკაციისათვის;

- თქვენთან კომუნიკაციისათვის, მათ შორის პლატფორმაზე განახლებული მონაცემების შესატყობინებლად;
- თქვენი შეკითხვების დამუშავებისთვის;
- **პლატფორმის** ტექნიკური ადმინისტრირების და მისი კვლევის მიზნებისთვის;
- **ჩვენი** ან/და ჩვენი პარტნიორი კომპანიების/მერჩანტების მომსახურებისა ან/და პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მოსაწოდებლად;
- **ჩვენი** ან/და **ჩვენი** პარტნიორი კომპანიების/მერჩანტების მიერ მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად;
- თქვენი საჭიროებების და სურვილების თაობაზე **ჩვენი** პარტნიორი კომპანიების/მერჩანტების ინფორმირებისთვის;
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის;
- თქვენ მიერ წაყენებული პრეტენზიების აღმოსაფხვრელად;
- **პლატფორმაზე** თქვენი აქტივობების მონიტორინგისათვის;
- **პლატფორმის** მიერ დანერგილი სიახლეების დასატესტად;
- **პლატფორმაზე** ახალი პროდუქტებისა და სიახლეების დანერგვისათვის;
- **მომხმარებლების** იმ ჯგუფთა განსაზღვრისათვის, რომელთათვისაც უნდა განხორციელდეს სიახლეების შეთავაზება;
- მარკეტინგული მიზნებისათვის, მათ შორის მარკეტინგული და სხვა სახის აქტივობების განსახორციელებლად;
- თქვენ მიერ განხორციელებული შესყიდვების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისათვის;
- თქვენ მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე უფლებამოსილი მესამე პირისგან ინფორმაციის მისაღებად;
- თქვენი კანონიერი ინტერესების დასაცავად;
- **პლატფორმის** სისტემის არამართლზომიერი გამოყენების პრევენციისათვის;
- ჩვენი კანონისმიერი ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად ან/და დანაშაულის პრევენციისათვის/გამოვლენისათვის, მათ შორის ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და სხვა დანაშაულებრივი ღონისძიების თავიდან აცილების მიზნით.

თქვენი პერსონალური მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს ნებისმიერი სხვა მიზნით, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველო მოქმედ კანონმდებლობას.

3. დამუშავების ფორმა

ჩვენ თქვენს პერსონალურ მონაცემებს დავამუშავებთ როგორც ავტომატური, ისე ნახევრად ავტომატური ან/და არაავტომატური საშუალებებით, უფრო კონკრეტულად, **ჩვენ** შესაძლოა განვახორციელოთ ერთი ან ყველა ჩამოთვლილი ქმედება:

- შევაგროვოთ ან/და შევინახოთ თქვენი პერსონალური მონაცემები;
- დავაორგანიზოთ და ცალკეულ კატეგორიებად დავაჯგუფოთ პერსონალური მონაცემები;
- თქვენი პერსონალური მონაცემები გადავცეთ პარტნიორ კომპანიებს/მერჩანტებს, მათ შემდგომი დამუშავების მიზნით, მათ შორის მარკეტინგული მიზნებისათვის გამოსაყენებლად.

4. მონაცემთა უსაფრთხოება და მათი დაცვის ზომები

ჩვენ ვიყენებთ ტექნოლოგიური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომებს, რათა დავიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები შემთხვევითი ან განზრახ დაკარგვისგან ან განადგურებისგან ან არაუფლებამოსილი პირების მხრიდან წვდომისგან. **ჩვენ** მუდმივად ვანახლებთ **ჩვენი** უსაფრთხოების ზომებს ტექნოლოგიური განვითარების შესაბამისად.

ვიძლევიტ გარანტიას, რომ თქვენ პერსონალურ მონაცემებთან წვდომა ექნებათ მხოლოდ ისეთ უფლებამოსილ პირებს, რომლებიც შეძლებენ მიიღონ შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები იმგვარად, რომ დამუშავება შესაბამებოდეს მოქმედ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს

მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვას. უფლებამოსილი პირები პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ მხოლოდ ჩვენ დოკუმენტური მითითებების შესაბამისად.

ჩვენ პასუხს არ ვაგებთ არაუფლებამოსილი პირების მიერ ჩვენ ხელთ არსებულ მონაცემებზე უკანონო ან/და დანაშაულებრივი გზით წვდომის შედეგად, თქვენი პერსონალური მონაცემების უკანონო მიღებაზე ან/და დამუშავებაზე.

5. მონაცემთა შენახვის ვადა

ჩვენ ვამუშავებთ და ვინახავთ პერსონალურ მონაცემებს იმ ვადით, რაც საჭიროა დამუშავების მიზნის მისაღწევად, ან იმ ვადით და იმ მოცულობით, რაც სავალდებულოდ დადგენილია კანონით ჩვენ მიერ ამგვარი მონაცემების დამუშავების ან/და შენახვისთვის. თუ დამუშავების მიზანი აღარ არსებობს და ამოწურულია კანონმდებლობით დადგენილი მონაცემთა შენახვის ვადა, ჩვენ რუტინული წესით წავშლით მონაცემებს ან შევზღუდავთ მონაცემთა დამუშავებას მოქმედი სავალდებულო ნორმების შესაბამისად.

6. Cookie ფაილების გამოყენება

პლატფორმა იყენებს ე.წ. cookie ფაილებს, რათა ხელმისაწვდომი გახადოს პერსონალური ფუნქციონალი და გააანალიზოს თქვენ მიერ **პლატფორმის** მოხმარება. Cookie წარმოადგენს ფაილს, რომელიც ინახავს გარკვეულ ინფორმაციას თქვენ მიერ **პლატფორმაზე** წვდომისთვის გამოყენებული მოწყობილობის შესახებ ამავე მოწყობილობაში. როდესაც თქვენი მოწყობილობა დაუკავშირდება ჩვენ სერვერს, სერვერი იღებს შესაბამის cookie ფაილს. სერვერს შესაძლებლობა აქვს დაამუშაოს cookie ფაილში შენახული ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდებით. Cookie ფაილის მეშვეობით შესაძლებელია დავიმახსოვროთ თქვენი არჩევანი, რათა ავტომატურად მოხდეს თქვენი დაშვება თქვენს მართვის პანელთან და ამგვარად მომსახურება იყოს უფრო კომფორტული მომხმარებლისთვის. თქვენ შეგიძლიათ გაააქტიუროთ cookie ფაილები ან განახორციელოთ მათ დეაქტივაცია თქვენი ბრაუზერის პარამეტრებიდან. თუმცა, თუ თქვენ განახორციელებთ cookie ფაილების დეაქტივაციას, შესაძლოა ვეღარ გამოიყენოთ **პლატფორმის** ყველა ფუნქცია.

7. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით თქვენი ინფორმირების პირობები

თქვენ როგორც მონაცემთა სუბიექტს უფლება გაქვთ ჩვენგან მოითხოვოთ ინფორმაცია თქვენ შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. შესაბამისად თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულებას ვიღებთ მოგაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- თქვენ შესახებ, რომელი მონაცემები მუშავდება;
- თქვენი მონაცემების დამუშავების მიზანი;
- თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- ჩვენთან რა გზით შეგროვდა მონაცემები;
- ვისზე გაიცა თქვენ შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია მოგეწოდებათ მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

8. მონაცემთა შესწორება, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა

თქვენ, როგორც მონაცემთა სუბიექტს უფლება გაქვთ ჩვენგან მოითხოვოთ ჩვენთან თქვენ შესახებ დაცული ინფორმაციის გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, თუ ინფორმაცია არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

თქვენი მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში, ჩვენ ვალდებული ვართ ვიღებთ გავასწოროთ, განვაახლოთ, დავამატოთ, დავბლოკოთ, წავშალოთ ან გავანადგუროთ ინფორმაცია, ხოლო უარის შემთხვევაში, გაცნობთ უარის თქმის საფუძველი .

თუ მივიჩნევთ, რომ ჩვენ ხელთ არსებული თქვენი მონაცემები არასრულია, არაზუსტია ან არ არის განახლებული, შესაბამისად მოხდება აღნიშნული მონაცემების გასწორება ან განახლება და აღნიშნულის შესახებ გეცნობებათ ჩვენ შორის შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებებით.

9. არასრულყოფილი პირი

პლატფორმა მოკლებულია შესაძლებლობას გადაამოწმოს თქვენ მიერ მითითებული ინფორმაციის უტყუარობა და სისწორე, მათ შორის, თქვენი ასაკი. თუ ცნობილი გახდება, რომ ინფორმაციის მომწოდებელი პირი არ არის სრულყოფილი, **პლატფორმა** უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს არასრულყოფილი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. თუ თქვენთვის ცნობილი გახდა, რომ **პლატფორმაზე** რეგისტრირებული პირი არ არის სრულყოფილი ან/და არ აქვს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა **პლატფორმით** სარგებლობასთან დაკავშირებით, გთხოვთ გვაცნობოთ აღნიშნულის თაობაზე.

10. ცვლილებები კონფიდენციალურობის პოლიტიკაში

შესაძლებელია წინამდებარე დოკუმენტში განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები. ცვლილებების ან დამატებების შეტანის შემთხვევაში მომხმარებელი მიიღებს პირად შეტყობინებას ელექტრონული ფოსტის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით ან/და გამოქვეყნდება **პლატფორმაზე**.

ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის **პლატფორმის** მიერ მომხმარებლისათვის პირადი შეტყობინების გაგზავნის ან **პლატფორმაზე** გამოქვეყნების შემდეგ. ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესვლის შემდგომ, მომხმარებლის მიერ **პლატფორმით** სარგებლობა განხილული იქნება როგორც შეცვლილ პირობებზე თანხმობა.

11. Facebook/Google ავტორიზაცია

„Facebook ავტორიზაცია“

პლატფორმა შესაძლებელს ხდის მომხმარებლისათვის „Facebook“-ზე შესვლას, რათა მათ იურთიერთონ მეგობრებთან და გაუზიარონ მათ ინფორმაცია „Facebook“-ის კვდლისა და მეგობართა სიახლეების დაფის მეშვეობით. თუ თქვენ დარეგისტრირებული ხართ **პლატფორმაზე** და „Facebook“-ზე და დააჭერთ „Facebook ავტორიზაციას“-ს, თქვენი ორივე პროფილი შეერთდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ „Facebook“-სა და **პლატფორმაზე** რეგისტრაციისას მითითებული თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართები არ დაემთხვევა ერთმანეთს. თუ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართები ერთმანეთს არ ემთხვევა, ჩვენ გკითხავთ, გსურთ თუ არა მათი შეერთება. მაშინ თქვენ შეიყვანთ თქვენს პაროლს, რათა დაადასტუროთ, რომ „Facebook“ აკონტროლებს ამ ანგარიშს/პროფილს. თუ თქვენ დარეგისტრირებული ხართ **პლატფორმაზე**, მაგრამ არა „Facebook“-ზე და დააჭერთ „Facebook ავტორიზაციას“-ს, თქვენ შემოგთავაზებენ „Facebook“ მანდატის შექმნას ან „Facebook“-ზე დარეგისტრირებას. თუ თქვენ გააგრძელებთ, ხელმისაწვდომს გახდით თქვენს ინფორმაციას **პლატფორმისათვის** და ამავე დროს **პლატფორმის** გამოყენებისას დაეთანხმებით „Facebook“-ით სარგებლობის პირობებს.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ **პლატფორმაზე** აქტივობის დასრულების შემდეგ არ მოხდება სისტემიდან ავტომატურად გამოსვლა და სესიის დასრულებამდე თქვენი მონაცემები იქნება ხელმისაწვდომი მესამე პირისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერი პასუხისმგებლობა სრულად დაეკისრება მომხმარებელს.

„Google ავტორიზაცია“

პლატფორმა შესაძლებელს ხდის მომხმარებლისათვის „Google“-ის ელექტრონულ ფოსტაზე შესვლას, რათა მათ იურთიერთონ მეგობრებთან და გაუზიარონ მათ ინფორმაცია „Google“-ის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. თუ

თქვენ დარეგისტრირებული ხართ **პლატფორმაზე** და გაქვთ „Google“-ის ელექტრონული ფოსტა და დააჭერთ „Google“-ს, თქვენი ორივე პროფილი შეერთდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ „Google“-სა და **პლატფორმაზე** რეგისტრაციისას მითითებული თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართები არ დაემთხვევა ერთმანეთს. თუ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართები ერთმანეთს არ ემთხვევა, ჩვენ გკითხავთ, გსურთ თუ არა მათი შეერთება. მაშინ თქვენ შეიყვანთ თქვენს პაროლს, რათა დაადასტუროთ, რომ „Google“ აკონტროლებს ამ ანგარიშს/პროფილს. თუ თქვენ დარეგისტრირებული ხართ **პლატფორმაზე** მაგრამ არა „Google“-ზე და დააჭერთ „Google ავტორიზაციას“, თქვენ შემოგთავაზებენ „Google“ მანდატის შექმნას ან „Google“-ის ელექტრონული ფოსტის დარეგისტრირებას. თუ თქვენ გააგრძელებთ, ხელმისაწვდომს გახდით თქვენს ინფორმაციას **პლატფორმისათვის** და ამავე დროს **პლატფორმის** გამოყენებისას დაეთანხმებით „Google“-ით სარგებლობის პირობებს.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ **პლატფორმაზე** აქტივობის დასრულების შემდეგ არ მოხდება სისტემიდან ავტომატურად გამოსვლა და სესიის დასრულებამდე თქვენი მონაცემები იქნება ხელმისაწვდომი მესამე პირისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერი პასუხისმგებლობა სრულად დაეკისრება მომხმარებელს.

12. მარკეტინგი

ჩვენ წვდომა გვაქვს თქვენს პირად მონაცემებზე იმ ფარგლებში, რასაც თავად გვიზიარებთ ან **ჩვენ** ვაგროვებთ თქვენთვის მომსახურების გაწევის პროცესში ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით.

ჩვენ შევისწავლით თქვენს მონაცემებს, რათა გავიგოთ, რა გჭირდებათ, რა გაინტერესებთ, ან რა სურვილები შეიძლება გქონდეთ. ასე ვწყვეტთ, რომელი პროდუქტი, მომსახურება თუ შეთავაზება შეიძლება იყოს თქვენთვის შესაფერისი.

ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიყენებთ თქვენს პირად მონაცემებს და გიგზავნით მარკეტინგულ შეტყობინებებს, როცა გვაქვს ამის ლეგიტიმური ინტერესი. ჩვენ გპირდებით, რომ ჩვენი საქმიანობა არასდროს იქნება უსამართლო, არასწორი ან თქვენი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული.

თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს დაგვიკავშირდეთ და გვთხოვოთ მარკეტინგული შეტყობინებების გამოგზავნის შეწყვეტა. ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს სურვილებს და ასეთი შეტყობინების მიღებისთანავე შევწყვეტთ თქვენი პირადი მონაცემების გამოყენებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის.